ვინც მთიდან გადახტება და ამით საკუთარ სიცოცხლეს დაასრულებს, იგი ჯოჯოხეთის ცეცხლში სამუდამოდ ჩავარდება და იქ დარჩება მარადიულად

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც მთიდან გადახტება და ამით საკუთარ სიცოცხლეს დაასრულებს, იგი ჯოჯოხეთის ცეცხლში სამუდამოდ ჩავარდება და იქ დარჩება მარადიულად, ვინც შხამს დალევს და ამით თავს მოიკლავს, ჯოჯოხეთში შხამი მის ხელში იქნება და მარადიულად სვამს მას, ვინც საკუთარ თავს რკინით (იარაღით) მოკლავს, მისი იარაღი მის ხელში იქნება და ის მარადიულად ჩაირტყამს მას თავის მუცელში, ჯოჯოხეთის ცეცხლში მყოფი».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა ადამიანები, რომ ვინც განზრახ მოიკლავს თავს ამქვეყნად, იგი სასჯელის სახით იმავე მეთოდით დაისჯება აღდგომის დღეს ჯოჯოხეთში, ვინც მთიდან გადმოხტება და თავს მოიკლავს, მას ჯოჯოხეთის ცეცხლში მუდმივად მთებიდან გადმოაგდებენ და გადაიჩეხება კლდეებიდან კლდეებზე ძირს და მარადიულად იქ დარჩება. ვინც შხამს დალევს და მისით თავს მოიკლავს, ჯოჯოხეთში მისი შხამი ხელში იქნება და იგი მარადიულად სვამს მას. ვინც რკინას (იარაღს) საკუთარ მუცელში ჩაირტყამს და თავს მოიკლავს, ჯოჯოხეთში მას იარაღი ხელში ექნება და იგი მარადიულად დაირტყამს მას თავის მუცელში.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/66204